

შპს ტელკო სისტემს

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული  
წლისათვის

## სარჩევი

|                                                      |    |
|------------------------------------------------------|----|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                   | 3  |
| მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება | 4  |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება                    | 5  |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები       | 6  |
| 1. ზოგადი ნაწილი                                     | 6  |
| 2. მომზადების საფუძველი                              | 6  |
| 3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა                  | 7  |
| 4. ფულადი სახსრები.                                  | 12 |
| 5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.                       | 13 |
| 6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.                | 13 |
| 7. ძირითადი საშუალებები.                             | 13 |
| 8. სავაჭრო ვალდებულებები.                            | 14 |
| 9. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება  | 14 |
| 10. კომერციული ხარჯები.                              | 15 |
| 11. ადმინისტრაციული ხარჯები.                         | 15 |
| 12. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები                  | 15 |
| 13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება                | 16 |

შპს ტელეკომ სისტემს  
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31  
დეკემბერს  
(ლარი)

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

### 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(1 ლარი)

|                                                        | შენიშვნა | 31.12.2019       | 01.01.2019       |
|--------------------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                                        |          |                  |                  |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                              |          |                  |                  |
| ფულადი სახსრები                                        | 4        | 722,018          | 681,687          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                             | 5        | 1,131,206        | 876,606          |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები                      | 6        | 1,969,743        | 1,857,888        |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                          |          | <b>3,822,967</b> | <b>3,416,182</b> |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                           |          |                  |                  |
| ძირითადი საშუალებები                                   | 7        | 12,453           | 15,044           |
| არამატერიალური აქტივები                                |          | 7,722            | 10,009           |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                       |          | <b>20,176</b>    | <b>25,053</b>    |
| <b>სულ აქტივები</b>                                    |          | <b>3,843,143</b> | <b>3,441,235</b> |
| <b>ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>              |          |                  |                  |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                      |          |                  |                  |
| მოკლევადიანი სესხი                                     |          | -                | -                |
| სავაჭრო ვალდებულებები                                  | 8        | 410,860          | 339,408          |
| მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება                     |          | 18,171           | -                |
| დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი |          | 5,679            | 898              |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                  |          | <b>434,710</b>   | <b>340,306</b>   |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                      |          |                  |                  |
| ბანკის სესხი                                           |          | -                | -                |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                  |          | <b>0</b>         | <b>-</b>         |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                               |          | <b>434,710</b>   | <b>340,306</b>   |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                               |          |                  |                  |
| სააქციო კაპიტალი                                       |          | 20,400           | 20,400           |
| გაუნაწილებელი მოგება/ზარალი                            |          | 3,388,033        | 3,080,528        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                           |          | <b>3,408,433</b> | <b>3,100,928</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>          |          | <b>3,843,143</b> | <b>3,441,235</b> |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ირაკლი გულიაშვილი

მთ. ბუღალტერი ----- ეკა ზუბაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 15-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ტელეკომ სისტემს  
 ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31  
 დეკემბერს  
 (ლარში)

## მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის  
 (1 ლარი)

|                                       | შენიშვნა | 2019        | 2018        |
|---------------------------------------|----------|-------------|-------------|
| ამონაგები                             | 9        | 5,660,293   | 5,466,533   |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება |          | (4,129,269) | (4,110,050) |
| საერთო მოგება                         |          | 1,531,024   | 1,356,484   |
| სხვა შემოსავალი                       |          | 15,835      | 11,992      |
| კომერციული დანახარჯები                | 10       | (55,015)    | (22,601)    |
| ადმინისტრაციული ხარჯები               | 11       | (820,860)   | (792,078)   |
| სხვა ხარჯები                          |          | -           | -           |
| დადებითი საკურსო სხვაობა              |          | 30,653      | 32,753      |
| ფინანსური შემოსავალი                  |          | 1,467       | 1,182       |
| უარყოფითი საკურსო სხვაობა             |          | (7,124)     | (8,801)     |
| ფინანსური დანახარჯები                 |          | (236)       | (3,718)     |
| მოგება დაბეგვრამდე                    |          | 695,743     | 575,214     |
| მოგების გადასახადის ხარჯი             |          | -           | -           |
| მიმდინარე წლის მოგება                 |          | 695,743     | 575,214     |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ირაკლი გულიაშვილი

მთ. ბუღალტერი ----- ეკა ზუბაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 15-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ტელეკომ სისტემს  
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31  
დეკემბერს  
(ლარი)

## კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

### 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის (1 ლარი)

|                                | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სხვა რეზერვები | სულ              |
|--------------------------------|-----------------------|-------------------------|----------------|------------------|
| <b>ნაშთი 1 იანვარი 2019</b>    | <b>20,400</b>         | <b>3,080,528</b>        | <b>-</b>       | <b>3,100,928</b> |
| საწესდებო კაპიტალის გაზრდა     | -                     | -                       | -              | -                |
| წლის მთლიანი სრული შემოსავალი  | -                     | 695,743                 | -              | <b>695,743</b>   |
| <b>დივიდენდის განაწილება</b>   |                       | <b>(388,238)</b>        |                | <b>(388,238)</b> |
| <b>ნაშთი 31 დეკემბერი 2019</b> | <b>20,400</b>         | <b>3,388,033</b>        | <b>-</b>       | <b>3,408,433</b> |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ირაკლი გულიაშვილი

მთ. ბუღალტერი ----- ეკა ზუბაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 15-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური  
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ნაწილი

შპს „ტელკო სისტემს“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2007 წლის 25 აპრილს თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 205203279, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ნუცუბიძის ქ.221 კორპ 1ა, ბ.33, კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის წილის მფლობელია:

მერაბ ბუბალაძე (პ.ნ 35001000021)-33.3%

გიორგი კაშია (პ.ნ 01012007776) 33.3%

ალექსანდრე ტივაძე (პ.ნ 35001029814) 33.4%

კომპანიის დირექტორია - ირაკლი გულიაშვილი (62001007654)

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: საბითუმო და საცალო ვაჭრობა კომპიუტერებით, კომპიუტერული პერფერული მოწყობილობებით და პროგრამული უზრუნველყოფით, ასევე საბითუმო და საცალო ვაჭრობა ელექტრონული ნაწილებით.

კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

### 2. მომზადების საფუძველი

2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

მსს ფასს-ის 35-ე მუხლის თანახმად, თუ კომპანია შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღად ირჩევს 2018 წლის 1 იანვარს, საწარმოს მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება სულ მცირე უნდა მოიცავდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2018 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. ამასთან, საწარმოს შეუძლია ფულადი ნაკადების ანგარიშგების ნებაყოფლობით წარდგენა. კომპანია იყენებს აღნიშნულ შეღავათს და არ წარადგენს შესადარის ინფორმაციას და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოა, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

### ***3.გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა***

#### ***შემოსავლების აღიარება***

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

#### საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

#### ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო

განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

#### გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

#### დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრტელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

#### მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

#### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

#### გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა დანადგარები -5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა-5 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

საგზაო ტექნიკა - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

#### გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

## შპს მათემოტორსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2018-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

### წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

### გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6468 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

## 4. ფუ ლადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

|                         | 2019    | 2018    |
|-------------------------|---------|---------|
| ნაღდი ფული ლარებში      | 3,388   | 7,890   |
| მაღალლიკვიდური აქტივები | 718,630 | 673,797 |
| სულ                     | 722,018 | 681,687 |

**შპს მათემატორსი**

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

**5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.**

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

|                                          | 2019             | 2018           |
|------------------------------------------|------------------|----------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 1,008,276        | 549,179        |
| სხვა მიმდინარე აქტივები                  | 122,930          | 327,427        |
| <b>სულ</b>                               | <b>1,131,206</b> | <b>876,606</b> |

2019 წლის ბოლოსათვის, კომპანიას სავაჭრო ვალეები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე რომლის მიღებასაც კომპანიის მოელის წინასწარ განსაზღვრული ვადებში.

**6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.**

მარაგები წარმოდგენილია:

|                         | 2019             | 2018             |
|-------------------------|------------------|------------------|
| საქონელი                | 1,967,717        | 1,855,975        |
| სანვავ-საცხები მასალები | 2,026            | 1,913            |
| <b>სულ</b>              | <b>1,969,743</b> | <b>1,857,888</b> |

**7. ძირითადი საშუალებები.**

ძირითადი საშუალებები შედგება:

|                                              | ოფისის<br>აღჭურვილობა | კომპიუტერული<br>ტექნიკა და<br>პერიფერიული<br>მოწყობილობები | ავეჯი და სხვა<br>ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სხვა<br>ამორტიზებადი<br>ძირითადი<br>საშუალებები | იჯარით<br>აღებული<br>ქონების<br>კეთილმოწყობა | სულ       |
|----------------------------------------------|-----------------------|------------------------------------------------------------|----------------------------|-----------------------------|-------------------------------------------------|----------------------------------------------|-----------|
| ბალანსი 2019 წლის 1 იანვარი                  | 21,234                | 42,404                                                     | 11,272                     | 18,027                      | 22,767                                          | 14,960                                       | 130,665   |
| შემოსვლა                                     |                       | 2,426                                                      |                            |                             | 2,527                                           |                                              | 4,953     |
| გასვლა                                       |                       |                                                            |                            |                             |                                                 |                                              | -         |
| ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი               | 21,234                | 44,830                                                     | 11,272                     | 18,027                      | 25,294                                          | 14,960                                       | 135,618   |
| დაგროვილი ცვეთა                              |                       |                                                            |                            |                             |                                                 |                                              |           |
| ბალანსი 2019 წლის 1 იანვარი                  | (19,139)              | (38,454)                                                   | (7,599)                    | (16,825)                    | (21,138)                                        | (12,466)                                     | (115,621) |
| ცვეთის ხარჯი                                 | (631)                 | (1,612)                                                    | (1,550)                    | (1,202)                     | (1,743)                                         | (806)                                        | (7,544)   |
| გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა |                       |                                                            |                            |                             |                                                 |                                              | -         |
| ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი               | (19,770)              | (40,066)                                                   | (9,149)                    | (18,027)                    | (22,881)                                        | (13,272)                                     | (123,164) |
| წმინდა საბალანსო ღირებულება                  |                       |                                                            |                            |                             |                                                 |                                              |           |
| ბალანსი 2019 წლის 1 იანვარი                  | 2,095                 | 3,950                                                      | 3,674                      | 1,202                       | 1,629                                           | 2,494                                        | 15,044    |
| ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი               | 1,464                 | 4,765                                                      | 2,124                      | -                           | 2,413                                           | 1,688                                        | 12,453    |

შპს მათემოტორსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს  
(ლარში)

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

#### **8. სავაჭრო ვალდებულებები.**

სავაჭრო ვალდებულებები შედგება:

|                                         | 2019           | 2018           |
|-----------------------------------------|----------------|----------------|
| მინ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები | 410,860        | 258,808        |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულება           | -              | 80,600         |
| <b>სულ</b>                              | <b>410,860</b> | <b>339,408</b> |

#### **9. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება**

2019 წელს, კომპანიის ამონაგები შედგება:

|                         | 2019             | 2018             |
|-------------------------|------------------|------------------|
| საქონლის რეალიზაცია     | 5,620,203        | 5,424,796        |
| მომსახურების რეალიზაცია | 40,090           | 41,737           |
| <b>სულ</b>              | <b>5,660,293</b> | <b>5,466,533</b> |

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

შპს მათემოტორსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

#### 10. კომერციული ხარჯები.

კომპანიის 2019 წლის კომერციული დანახარჯი შედგება:

|                                      | 2019          | 2018          |
|--------------------------------------|---------------|---------------|
| რეკლამის ხარჯები                     | 3,475         | 3,051         |
| მარკეტინგის ხარჯი                    | 1,634         | 1,883         |
| ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები | 2,502         | 3,612         |
| მინოდების სხვა ხარჯები               | 47,405        | 14,054        |
| <b>სულ</b>                           | <b>55,015</b> | <b>22,601</b> |

#### 11. ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანიის 2019 წლის ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

|                       | 2019           |
|-----------------------|----------------|
| ადმინისტრაციული ხარჯი | 554,339        |
| კომუნალური ხარჯი      | 4,574          |
| სხვა საერთო ხარჯი     | 261,947        |
| <b>სულ</b>            | <b>820,860</b> |

#### 12. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

განხორციელებული ოპერაციები დირექტორთან და პარტნიორებთან:

|                                        | ტრანზაქციის ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით | დაუფარავი ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით |
|----------------------------------------|--------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------|
| ხელფასი და სხვა სარგებელი              | (94,661)                                                           | 687                                                         |
| საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვები | -                                                                  | -                                                           |
| საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაცია | -                                                                  | -                                                           |
| <b>სულ</b>                             | <b>(94,661)</b>                                                    | <b>687</b>                                                  |

განხორციელებული ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან:

## შპს მათემოტორსი

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს  
(ლარში)

|                                        | ტრანზაქციის ღირებულება 2018<br>წლის 31 დეკემბერს დასრულებული<br>პერიოდით | დაუფარავი ნაშთი 2018<br>წლის 31 დეკემბერს<br>დასრულებული პერიოდით |
|----------------------------------------|--------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------|
| საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვები | (13,063)                                                                 | (300)                                                             |
| საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაცია | 755                                                                      | 593                                                               |
| სულ                                    | <u>(12,308)</u>                                                          | <u>293</u>                                                        |

აღნიშნული ოპერაციები განხორციელებულია იგივე პირობებით, როგორი პირობებითაც სრულდება ანალოგიური ტრანზაქციები არადაკვშირებულ მხარესთან.

### 13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს.